პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოქვეყნების 36-ე წელი | შაბათი, 15 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

№ 245 (10331)

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებში დასახულია მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი აღმავლობის პროგრამა. ამ პროგრამის წარმატებით განხორციელება მოითხოვს სოფლად პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში. აღნიშნული პლენუმის შემდეგ პარტიის სოლქმ, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა დიდი მუშაობა გასწიეს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, მათი ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად. ახლა სოფლად ცოტა როდია მოწინავე, მებრძოლი პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რომელიც კოლმეურნეთა ფართო მასების ნამდვილი მეთაური და წინამძღოლია. ამას ნათლად მოწმობს გორის რაიონის სოფელ ზერტის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობისა და მისი პარტიული ორგანიზაციის მაგალითი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ზერტის კოლმეურნეობა საგრძნობლად განმტკიცდა და დაწინაურდა. სერიოზული წარმატებებია მოპოვებული მეცხოველეობაში, რომელიც წინათ ჩამორჩენილი დარგი იყო. გასულ წელთან შედარებით წელს წველადობა თითქმის სამჯერ გაიზარდა. მომდინარე წლის გაზაფხულზე 110 ჰექტარით მეტი სიმინდი დაითესა, ვიდრე შარშან. კოლმეურნეობა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საშემოდგომო ხვნა-თესვას. ზერტელი კოლმეურნეები იმისათვის იბრძვიან, რომ პურეულის თესვა ოქტომბრის პირველ ნახევარში დაამთავრონ და ამით პირნათლად გაანაღდონ პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებანი. საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში დიდ როლს ასრულებს საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია. პირველადი პარტიული ორგანიზაცია ორმად, საქმის ცოდნით სწვდება კოლმეურნეობის ეკონომიკას, აქტიურად უჭერს მხარს და ავრცელებს მოწინავეთა გამოცდილებას, ყოველდღიურად ეწევა მასებში მიზანდასახულ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ საქმიანობას, ზრუნავს საკოლმეურნეო კადრების სწორად შერჩევისა და აღზრდისათვის.

ცნობილია, რომ საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა დიდად არის დამოკიდებული პარტიული ორგანიზაციის მდივანზე, მის უნარსა და ცოდნაზე. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი მასების მეთაური, მებრძოლი ორგანიზატორი და აღმზრდელი უნდა იყოს. იგი მოვალეა იჩენდეს შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას, თავის საქმიანობაში ეყრდნობოდეს კომუნისტებს და უპარტიო კოლმეურნეებს, გულისხმიერად უგდებდეს ყურს მათს ხმას, ყველგან და ყველაფერში ხელმძღვანელობდეს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებით.

სოფლად ცოტა როდია საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის ისეთი მდივანი, რომელიც გამსჭვალულია მინდობილი საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. სადაც პარტიულ ორგანიზაციას, სოფლის კომუნისტებს სათავეში უდგას საქმის მცოდნე და ინიციატივიანი მდივანი, იქ მაღალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, ხოლო ამის საფუძველზე წინ მიდის და ვითარდება საკოლმეურნეო წარმოება. მაგრამ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნებს შორის ჯერ კიდევ გვხვდებიან ისეთნიც, რომლისაც უნარი არ შესწევთ უხელმძღვანელონ პარტიულ ორგანიზაციას, ორმად ჩასწვდნენ კოლმეურნეობის ეკონომიკას, შეისწავლონ და დანერგონ მოწინავე გამოცდილება, ყოველდღიური კავშირი ჰქონდეთ კომუნისტებთან და უპარტიო კოლმეურნეებთან, დროზე შეამჩნიონ მუშაობის ნაკლოვანებანი და მიიღონ ზომები ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. ყოველივე ეს კი იწვევს პირველადი პარტიული ორგანიზაციის ბრძოლისუნარიანობის მოდუნებას, რასაც შედეგად მოჰყვება საკოლმეურნეო წარმოების ჩამორჩენა.

სწორედ ასეთი მდგომარეობაა სოფელ ნაგარეევის კოლმეურნეობაში, რომელიც ყველაზე ჩამორჩენილი მეურნეობაა ქუთაისის რაიონში. კოლმეურნეობაში ხშირია სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები, მრავალია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ნაგარეევში წლითიწლობით სასოფლო-სამეურნეო კულტურების მცირე მოსავალს იღებენ, ხელა იზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა. პარტიული ორგანიზაცია სუსტად ხელმძღვანელობს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას. სააგიტაციო-მასობრივი მუშაობა თვითდინებაზეა მინდობილი. პარტიული კრებები ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით ეწყობა. ბევრ კომუნისტს მიცემული არა აქვს შესაფერი პარტიული დავალება. საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივანი გ. ყიფიანი განზე უდგას თავის მოვალეობას და არაფერს არ აკეთებს მუშაობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდია შემთხვევა, როცა საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციის მდივნად ირჩევენ ამხანაგს, რომელსაც ხელმძღვანელობის გამოცდილება არ აქვს. ამავე დროს პარტიის რაიკომები საქმიან დახმარებას არ უწევენ ახლადარჩეულ მდივნებს, არ ასწავლიან მათ პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდებს. ამას წინათ საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი პარტიის ჯავის რაიკომის მიერ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის შესახებ. გამოირკვა, რომ რაიკომი ნაკლებ დახმარებას უწევს საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს, სუსტად მუშაობს მდივნებთან, აღზრდისა და სწავლების ნაცვლად ხშირად ცვლის მათ.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნების სწავლებისა და დახმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა სემინარი. მაგრამ პარტიის ჯავის რაიკომი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სემინარის მეცადინეობას მოუმზადებლად, დაბალ იდეურ დონეზე აწყობს. სემინარებზე არ ხდება გამოცდილების ურთიერთგაზიარება, რაიკომის მდივნები არ გამოდიან მოხსენებებით. პარტიული ორგანიზაციების მდივნებისადმი დახმარება მარტო სემინარების მოწყობით როდი ამოიწურება. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანია ადგილზე ცოცხალი ინსტრუქტაჟის გაწევა. ამ მხრივ ბევრრამ მოეთხოვებათ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფებს, რომლებიც მოწოდებული არიან ახლებურად გარდაქმნან პარტიული მუშაობა, ყოველდღიურად დაეხმარონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებს.

ამჟამად პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტთა მაღალი აქტივობის ვითარებაში მიმდინარეობს საანგარიშო-საარჩევნო კრებები. ამოცანა ის არის, რომ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების მდივნებად ავირჩიოთ ყველაზე გამოცდილი და პოლიტიკურად მომზადებული, ყველაზე უნარიანი და საქმის მცოდნე ამხანაგები. ანგარიშგება-არჩევნების შედეგად პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების შემადგენლობა ახალი კადრებით განმტკიცდება. ამ კადრების სწავლება, მათი პარტიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის გამოცდილებით შეიარაღება პარტიული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა.

ახლა სოფლის მეურნეობაში მთავარი საქმეა წარმატებით ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა, უდანაკარგოდ ავიღოთ სიმინდის მოსავალი, ვადამდე შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები, კარგად მოვამზადოთ პირუტყვი გამოზამთრებისათვის. ამ ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად საჭიროა შემდგომ ავამაღლოთ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა.

ქალაქ სევასტოპოლს გადაეცა წითელი დროშის ორდენი

სევასტოპოლი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). ჩვენი დიადი სამშობლოს საგმირო საქმეების მატიანეში სახელოვანი ფურცლები დაკავშირებულია სევასტოპოლის, მეომარი ქალაქის, გმირი ქალაქის სახელთან. ორჯერ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში — ყირიმის 1854-1855 წლების ომის პერიოდში და დიდი სამამულო ომის დროს სევასტოპოლის გმირულმა დაცვამ მთელ მსოფლიოს დაანახვა მაგალითი იშვიათი მამაცობისა და სიმტკიცისა, თავდადებისა და დევგმირული ძალისა, რაც გამოიჩინეს შავი ზღვის სიმაგრის დამცველებმა, სიმაგრისა, რომელზეც დაიმსხვრნენ მტრების ურიცხვი ურდოები. წარსულის საუკეთესო ტრადიციების ღირსეულმა მემკვიდრეებმა, საბჭოთა ადამიანებმა სევასტოპოლის 250 დღის დაცვით და განმთავისუფლებელი შტურმით წარსული ომის წლებში უჭკნობი დიდებით შემოსეს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საბრძოლო დროშები.

სევასტოპოლის 1854-1855 წლების გმირული დაცვის ასი წლისთავთან დაკავშირებით და ჩვენი სამშობლოს წინაშე სევასტოპოლის დიდი დამსახურების აღსანიშნავად, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვა ქალაქი.

13 ოქტომბერს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომაზე სევასტოპოლს გადაეცა მთავრობის მაღალი ჯილდო.

დიდებულად გამოიყურება თეთრი ქვით ნაშენი, ნანგრევებიდან აღდგენილი ორდენოსანი გმირი ქალაქი, ფერად-ფერადი ალმებით მორთულია ბუხტაში მდგომი შავი ზღვის ფლოტის ხომალდები.

სადღესასწაულოდ მორთულია მატროსთა კლუბის მაყურებელთა დარბაზი, სადაც შეიკრიბნენ საქალაქო საბჭოს დეპუტატები, მრავალრიცხოვანი სტუმრები — სევასტოპოლის საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავენი, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სამხედრო მეზღვაურები და საბჭოთა არმიის მეომრები.

სცენის სიღრმეშია ვ. ი. ლენინისა და მისი დიდი საქმის განმგრძობის ი. ვ. სტალინის პორტრეტები, რომლებიც გარშემორტყმულია სსრ კავშირის სახელმწიფო ალმით და მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო ალმებით. ოქროსფრად ბრწყინავს წითელ ფონზე სტატუები უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა წითელი დროშის ორდენით სევასტოპოლის დაჯილდოების შესახებ.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დამსწრენი ნ. ა. ბულგანინს, კ. ე. ვოროშილოვს, ა. ი. კირიჩენკოს, ა. ი. მიქოიანს, ნ. ს. ხრუშჩოვს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრს, საბჭოთა კავშირის მარშალს გ. კ. ჟუკოვს, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალს ნ. გ. კუზნეცოვს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ნ. მ. პეგოვს, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანს დ. ს. პოლიანსკის, ყირიმის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს მ. გ. კუზმენკოს, ადმირალ ს. გ. გორშკოვს, ვიცე-ადმირალებს ვ. ა. პარხომენკოს, ნ. მ. კულაკოვს, უკრაინის კომპარტიის სევასტოპოლის საქალაქო კომიტეტის მდივანს ა. გ. კოროვჩენკოს, რომლებიც პრეზიდიუმში შემოდიან. პრეზიდიუმში ადგილები დაიკავეს პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიუროების წევრებმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წევრებმა.

საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა სევასტოპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ვ. სოსნიცკიმ. დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ნ. მ. პეგოვს, რომელიც აქვეყნებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას წითელი დროშის ორდენით სევასტოპოლის დაჯილდოების შესახებ. შეკრებილნი ფეხზე დგებიან და მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით გამოხატავენ დიდ მადლობას კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობისადმი გმირი ქალაქის საბრძოლო და შრომითი გმირობის მაღალი შეფასებისათვის.

დარბაზში ახალი ძალით ქუხს ოვაცია, როცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი მაღალ ჯილდოს — წითელი დროშის ორდენს, რომლითაც დაჯილდოებულია ქალაქი, გადასცემს სევასტოპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ს. ვ. სოსნიცკის და პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. გ. კოროვჩენკოს. დამსწრენი მქუხარე ტაშით გამოხატავენ თავიანთ უსაზღვრო სიყვარულს მძლავრი საბჭოთა სამშობლოსადმი, თავიანთ მზადყოფნას და ურყევ ნებას თავდადებული შრომით, ახალი წარმატებებით საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში გაამრავლონ სევასტოპოლის დიდება.

უკრაინის კომპარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. გ. კოროვჩენკო სევასტოპოლის მშრომელთა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა სახელით მადლობას უხდის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ჯილდოსათვის, რომელიც სევასტოპოლს მიენიჭა, მის აღდგენაზე უდიდესი ზრუნვისათვის.

— სევასტოპოლის, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელები, — ამბობს ა. გ. კოროვჩენკო, — თავდადებული შრომით განამტკიცებენ თავიანთი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას. გააჩაღეს რა სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის და უკრაინის კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად, მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი ძალები მოახმარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა რაც შეიძლება მალე განხორციელების საქმეს, პლენუმისა, რომელმაც პარტია და საბჭოთა ხალხი შეაიარაღა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლის გრანდიოზული პროგრამით.

სევასტოპოლი ჩვენი სახელმწიფოს ფორპოსტია სამშობლოს საზღვრებზე. იგი იყო, არის და იქნება არა მარტო მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომის მაგალითი, არამედ აგრეთვე მრისხანე, მტრებისათვის მიუდგომელი ციხე-სიმაგრე, რომელსაც უნარი შესწევს დაიცვას სამშობლოს ინტერესები ყოველი აგრესორისაგან.

იღებენ რა წითელი დროშის ორდენს, ამბობს შემდეგ ა. გ. კოროვჩენკო, სევასტოპოლი [illegible] შავი ზღვის [illegible] ზღვაურები პირობას აძლევენ კომუნისტურ პარტიას [illegible] რომ კვლავაც წმიდად შეინახავენ და გაამრავლებენ გმირი ქალაქის დიდებას, იბრძოლებენ სამშობლოს შემდგომი განმტკიცებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

ტრიბუნაზეა შავი ზღვის ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ვ. ა. პარხომენკო. იგი ამბობს, რომ სევასტოპოლელები და ფლოტის სამხედრო მეზღვაურები დიდი სიხარულით, კანონიერი სიამაყის გრძნობით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებას წითელი დროშის ორდენით ქალაქის დაჯილდოების შესახებ.

— ეს ისტორიული აქტი, — ამბობს იგი, — მკაფიო გამოვლინებაა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა დიდი საბჭოთა სამშობლოს სამხედრო ძლიერების განმტკიცებისათვის, რუსული საზღვაო დიდების ქალაქისათვის, რომელიც გახდა სიმბოლო ჩვენი ხალხის გმირობის, მამაცობის, გამბედაობისა და გულადობისა თავისი ღირსებისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

მთავრობის მაღალმა ჯილდომ აღაფრთოვანა ფლოტის მთელი პირადი შემადგენლობა იმისათვის, რომ ამრავლოს საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარმატებანი, მშობლიური ქალაქის სახელოვანი საბრძოლო და რევოლუციური ტრადიციები. შავი ზღვის ფლოტის საამხედრო მეზღვაურები არ დაიშურებენ ძალებს, რათა ღირსეულად და პირნათლად შეასრულონ თავიანთი მოვალეობა — ფხიზლად დაიცვან კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომა.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს და არაერთხელ შეაწყვეტინეს მქუხარე ტაშით.

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის დავალებით, დიდი სიხარულის გრძნობით გადავეცი ახლა წითელი დროშის საბრძოლო ორდენი გმირ სევასტოპოლს, რომელიც დაჯილდოებულია სახელოვანი დაცვის 100 წლისთავისა და სამშობლოს წინაშე მისი უდიდესი საბრძოლო დამსახურების აღსანიშნავად. (ტაში).

სევასტოპოლი გმირი ქალაქი, დიდებული სამხედრო და რევოლუციური ტრადიციების ქალაქია, რომელმაც სახელი მოიხვეჭა უკვდავი საგმირო საქმეებით. თავისი გმირული წარსულით სევასტოპოლი განასახიერებს ჩვენი ხალხის სიდიადესა და დიდებას, მის სიყვარულს დედა-სამშობლოსადმი და უსაზღვრო მამაცობას სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რუსეთის დიდმა მხედართმთავარმა ალექსანდრე ვასილის-ძე სუვოროვმა და სახელმოხვეჭილმა ფლოტის სარდალმა ადმირალმა თეოდორე თეოდორეს-ძე უშაკოვმა საფუძველი ჩაუყარეს სევასტოპოლს, რომელიც შემდგომ მრისხანე სამხედრო-საზღვაო ციხე-სიმაგრე და შავი ზღვის სამხედრო ფლოტის საიმედო ბაზა გახდა.

მას შემდეგ სევასტოპოლისა და შავი ზღვის ფლოტის დიდება ერთ მთლიანობად გადაიქცა.

ქალაქი და ფლოტი ერთად იზრდებოდნენ და ვაჟკაცდებოდნენ.

შავი ზღვის ფლოტი ვითარდებოდა და იწრთობოდა მტრებთან ბრძოლებში სენიავინის, ლაზარევის, ნახიმოვის და რუსეთის სხვა გამოჩენილი ფლოტის სარდლების ხელმძღვანელობით. სუვოროვისა და უშაკოვის მსგავსად ისინი იყვნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების საუკეთესო წარმომადგენლები, თავისი სამშობლოს უსაზღვროდ ერთგული შვილები. ბატონყმური რეჟიმისა და მშრომელთა სასტიკი ჩაგვრის პირობებში ამ ადამიანებს შეგნებული ჰქონდათ, რომ ჯარისკაცები და მატროსები არმიისა და ფლოტის გადაწყვეტ ძალას წარმოადგენენ; მათ შეგნებული ჰქონდათ, რომ ამ ძალაზე დაყრდნობით თვითონ ხდებიან ძალა, რომელიც აუცილებლად საჭიროა სამშობლოსათვის.

უბრალო ადამიანისადმი ღრმა რწმენა შესანიშნავად არის გამოხატული სევასტოპოლის დაცვის ორგანიზატორისა და სულისჩამდგმელის ადმირალ ნახიმოვის სიტყვებში:

„მატროსი, — ამბობდა იგი, — მთავარი მამოძრავებელია სამხედრო ხომალდზე, ჩვენ კი მხოლოდ ზამბარები ვართ, რომლებიც მასზე მოქმედებენ“.

ასი წლის წინათ სევასტოპოლის 1854-1855 წლების ისტორიული დაცვის პერიოდში ჩვენმა ხალხმა განსაკუთრებული გმირობა, სიმტკიცე და თავდადება გამოიჩინა მშობლიური მიწა-წყლის დაცვის დროს.

მიუხედავად მტრის შეერთებული ძალების უპირატესობისა ცოცხალი ძალისა და განსაკუთრებით სამხედრო ტექნიკის მხრივ, მიუხედავად რუსეთის პოლიტიური ბატონყმური წყობილებისა და მისი ეკონომიური და სამხედრო-ტექნიკური ჩამორჩენილობისა, რუსმა ჯარისკაცებმა და მატროსებმა სევასტოპოლის თერმეტი თვის ალყის დროს განაცვიფრეს მსოფლიო თავიანთი ნამდვილი გმირობით უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

სევასტოპოლის დაცვის მონაწილემ ლ. ნ. ტოლსტოიმ ასე გამოთქვა თავისი აღტაცება სევასტოპოლის დამცველებისადმი:

„ჯარის მხნეობა აუწერელია. ასეთი გმირობა ძველი სბერძნეთის დროს არ ყოფილა“.

ჩვენ შეგვიძლია სიამაყით ვთქვათ, რომ ჩვენი ხალხის მეხსიერებაში პოლტავის ბრძოლისა და ბოროდინოს ომის თანაბრად წმიდად არის აღბეჭდილი სევასტოპოლის პირველი დაცვა, როგორც უდიადესი ეპოპეა რუსი ხალხის საბრძოლო გმირობისა, მამაცობის და ვაჟკაცობისა თავისი დამოუკიდებლობისათვის და ეროვნული ღირსებისათვის ბრძოლაში.

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები, სევასტოპოლის მუშები და ჯარისკაცები თვითმპყრობელობის დამხობისათვის მეხრძოლთა პირველ რიგებში იყვნენ.

აქედან, სევასტოპოლიდან ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ რევოლუციურ მოძრაობასა და აჯანყებას შავი ზღვის ფლოტში. შესანიშნავი მოვლენა იყო აჯანყება ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ 1905 წლის ივნისში, რომელმაც სერიოზული ლახვარი ჩასცა მეფის თვითმპყრობელობას. ეს აჯანყება რევოლუციური არმიის ბირთვის შექმნის ცდას მოასწავებდა.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ეწვივნენ შავი ზღვის ფლოტის ხომალდებს

სევასტოპოლი, 14 ოქტომბერი. (საკდესი). 13 ოქტომბერს ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვივნენ შავი ზღვის ფლოტის საბრძოლო ხომალდებს.

პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს ახლდნენ სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი, საბჭოთა კავშირის ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი დ. ს. პოლიანსკი, ადმირალი ს. გ. გორშკოვი, ვიცე-ადმირალები ვ. ა. პარხომენკო, ნ. მ. კულაკოვი და სხვები.

ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ა. ი. კირიჩენკო, ა. ი. მიქოიანი, ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნენ შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურთა საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებას, მათს ყოფაცხოვრებას.

მის აღმატებულებას
ბატონ ი. კ. პაასიკივის,
ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა, საბჭოთა მთავრობის წარდგინებით, ოქმი საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის განგრძობის შესახებ და შეთანხმება ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1955 წლის 19 სექტემბერს.

მე მაცნობეს, რომ ხსენებული შეთანხმებანი ერთსულოვნად მოიწონა აგრეთვე ფინეთის რესპუბლიკის სეიმმა და რომ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ისინი დაამტკიცეთ.

ნება მიბოძეთ ამის გამო გადმოგცეთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად ჩემი გულითადი მოლოცვა, აგრეთვე ვუსურვო კეთილღეობა და აყვავება ფინეთის ხალხს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ აღნიშნულ შეთანხმებათა ძალაში შესვლა მოასწავებს ახალ, დიდმნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა კავშირსა და ფინეთს შორის მეგობრობისა და ნდობის ურთიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი განვითარების საქმეში ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის ინტერესებისათვის.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ბატონ უ. კეკონენს,
ფინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

გთხოვთ მიიღოთ ჩემი გულწრფელი მოლოცვა იმის გამო, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაამტკიცეს ოქმი სსრ კავშირისა და ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ვადის განგრძობის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება ფინეთისათვის პორკალა-უდის ტერიტორიის დაბრუნების შესახებ, რომლებიც ხელმოწერილია მოსკოვში 1955 წლის 19 სექტემბერს.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ხსენებულ შეთანხმებათა ძალაში შესვლა კარგ სამსახურს გაუწევს ფინეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობისა და ურთიერთნდობის შემდგომი განმტკიცების საქმეს საბჭოთა და ფინელი ხალხების საკეთილდღეოდ, მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების საკეთილდღეოდ.

ნ. ბულგანინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დუაიტ დ. ეიზენჰაუერის წერილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ა. ბულგანინისადმი

მის აღმატებულებას ნიკოლოზ ა. ბულგანინს,
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს

მოსკოვი

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარე,

მე მინდა მადლობა მოგახსენოთ თქვენი 1955 წლის 19 სექტემბრის წერილისათვის ჩემი 21 ივლისის ქენევის წინადადების გამო სამხედრო ობიექტების მიმართ ინფორმაციის გაცვლის შესახებ, აგრეთვე ორივე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიებზე ურთიერთ საჰაერო დაზვერვის ნებადართვის შესახებ.

თქვენ აყენებთ მრავალ საკითხს, და მე ვერ შევძლებ ამ საკითხებზე პასუხის გაცემას მანამდე, სანამ ექიმები არ დამრთავენ ნებას უფრო მეტი ვიმუშაო საქმეებზე, ვიდრე ამჟამად ვმუშაობ. ყოველ შემთხვევაში, სრული პასუხი მოითხოვს ჩემი მრჩევლების წინასწარ მუშაობას, ხოლო ეს მუშაობა გაჩაღებულია.

ამასთან ნება მიბოძეთ ახლა განვაცხადო, რომ მე მამხნევებს ის, რომ თქვენ ასე ყოველმხრივ განიხილავთ ჩემს ქენევის წინადადებას. იმედი მაქვს, ჩვენ შევძლებთ მივაღწიოთ მის შესახებ შეთანხმებას არა როგორც ყოვლისგანმკურნავ საშუალებას, არამედ, როგორც მე ქენევაში განვაცხადე, რათა ცხადვყოთ არაგრესიულობის სულისკვეთება, რომელიც აქვს ორივე მხარეს და ამით შევქმნათ ახალი ვითარება, რომელიც გაფანტავდა ამჟამად არსებული შიშისა და ეჭვის მნიშვნელოვან ნაწილს. ეს თავისთავად იქნება საგულისხმო საქმე. მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო შესაძლებელს გახდის პროგრესის მიღწევას იმაში, რაც შეეხება ინსპექციის, კონტროლისა და შეიარაღების შემცირების ყოვლისმომცველი გეგმების შექმნას, რომლებიც შეესაბამება ჩვენი ხალხებისა და მსოფლიოს ყველა ხალხის მაღალ მისწრაფებებს.

მე არ დამვიწყებია თქვენი წინადადება, რომელიც შეეხება საინსპექციო ჯგუფების განლაგებას ჩვენი ქვეყნების სტრატეგიულ პუნქტებში, და თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს დაგვეხმარება შევქმნათ უკეთესი სულისკვეთება, რომელზეც მე ვლაპარაკობ, ჩვენ შევძლებთ ამაზეც დავთანხმდეთ.

გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს

გულწრფელად თქვენი

დუაიტ დ. ეიზენჰაუერი.

დენვერი, კოლორადო
1955 წ. 11 ოქტომბერი.

ქალაქ სევასტოპოლს გადაეცა წითელი დროშის ორდენი

ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

(დასასრული)

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ჯავშნოსანი „პოტიომკინი“ რევოლუციის დაუმარცხებელ ტერიტორიად დარჩა.

საბჭოთა ხალხი ამაყობს პოტიომკინელთა რევოლუციური გმირობით, რომელნიც პირველთა შორის დაირაზმნენ ცარიზმის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლისათვის. ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ გმირული აჯანყების ორმოცდაათი წლისთავი ამას წინათ ზეიმით იდღესასწაულა ჩვენმა ქვეყანამ. საბჭოთა მთავრობამ ამ იუბილესთან დაკავშირებით სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვა აჯანყების 89 მონაწილე, რომელნიც ახლა ცოცხალი არიან.

თავდადებით იბრძოდნენ სევასტოპოლის მუშები და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები ჩვენი სამშობლოს მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ უცხოეთის ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში. შავი ზღვის მეზღვაურთა დარტყმების ძალა, რომლებიც ჩვენი სახელოვანი ქვეითი და ცხენოსანი ჯარის მხარდამხარ იბრძოდნენ, განიცადეს კაიზერის ჯარისკაცებმაც და შავი ბარონის ვრანგელის რჩეულმა ნაწილებმაც, აგრეთვე მისმა არანაკლებ შავმა საზღვარგარეთელმა მეგობრებმაც.

მაგრამ სევასტოპოლის სახელი კიდევ უფრო დიადი გახდა დიდი სამამულო ომის წლებში.

იცავდნენ რა თავიანთ სოციალისტურ სამშობლოს ფაშისტ დამპყრობთა შემოსევისაგან, ჩვენმა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა საბჭოთა პატრიოტიზმის განსაცვიფრებელი ძლიერება გამოიჩინეს. საბჭოთა პატრიოტების გმირობის ერთ-ერთი ბრწყინვალე მაგალითი გვიჩვენეს სევასტოპოლის დამცველებმა — საბჭოთა არმიის მეომრებმა და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა. ისინი უდიდესი მამაცობით იგერიებდნენ და სპობდნენ ჰიტლერელთა ურდოებს. ფაშისტთა რიცხობრივად ჭარბმა ძალებმა ორას ორმოცდაათ დღეში ვერ გატეხეს სევასტოპოლელთა დევგმირული ნებისყოფა.

მეომრებთან ერთად სამშობლოს წინაშე თავიანთ მოვალეობას თავდადებით ასრულებდნენ ქალაქის მშრომელები — ქალები და მამაკაცები. განუწყვეტელი საარტილერიო ცეცხლისა და ჰაერიდან დაბომბვის დროს ისინი დაუცხრომლად მუშაობდნენ ფრონტისათვის.

სევასტოპოლის 1941-1942 წლების გმირული დაცვა ბრწყინვალე ფურცლად შევიდა არა მარტო გმირი სევასტოპოლის, არამედ აგრეთვე ჩვენი დიდი სამშობლოს ისტორიაში, იგი იყო დიდი სამამულო ომის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა.

დიდმა სტალინმა სევასტოპოლის დამცველთა გმირულ საქმეებზე თქვა:

„სევასტოპოლელთა თავდადებული ბრძოლა გმირობის მაგალითია მთელი წითელი არმიისა და საბჭოთა ხალხისათვის“.

ათ წელზე ცოტა მეტი გავიდა სევასტოპოლის განთავისუფლების დღიდან. ამ ხნის განმავლობაში კომუნისტური პარტიისა და ჩვენი მთავრობის ზრუნვით, მშენებელთა თავდადებული შრომით, გმირი ქალაქი აღსდგა ნანგრევებიდან და ნახანძრალიდან და ახლად აშენებული ამჟამად არის — მეშინია არ შევცდე — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ულამაზესი ქალაქი. **(მქუხარე ტაში).**

ამავე ხნის განმავლობაში ცოტა რამ როდი გაკეთდა სახელოვანი შავი ზღვის ფლოტის ტექნიკური სრულყოფისა და ბრძოლისუნარიანობის ამაღლებისათვის.

მაგრამ თქვენ, ამხანაგო სევასტოპოლელებო, ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთოთ, რათა დამთავროთ და აშენოთ ქალაქი და ყველაფერი ის, რაც მასთან არის დაკავშირებული, რაც მისი არსია. მთავრობა ყურადღებით ეპყრობა სევასტოპოლის საჭიროებებს, არ იშურებს სახსრებს მისი მშენებლობისა და შემდგომი განვითარებისათვის. მაგრამ თქვენ უნდა იმუშაოთ უფრო უკეთესად, აშენოთ უფრო გულმოდგინედ, უფრო საფუძვლიანად, ყოველგვარი ზედმეტობის გარეშე და, რა თქმა უნდა, გაუფრთხილდეთ ხალხის კაპიკს. **(ტაში).**

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანგრისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებმა აღადგინეს ჩვენი ქვეყნის მშრომელები ახალი თავდადებული ბრძოლისათვის, რათა შემდგომ განვითარდეს მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, მიღწეულ იქნას ტექნიკური პროგრესი, გაუმჯობესდეს ხალხის მატერიალური კეთილდღეობა, მიღწეულ იქნას წარმატებანი და შემდგომი პროგრესი კომუნისტურ მშენებლობაში.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, გამოვთქვა რწმენა, რომ სევასტოპოლის მშრომელები თავიანთი შემოქმედებითი მუშაობის მეოხებით კვლავაც ღირსეულ ადგილს დაიკავებენ ჩვენი დიდი სამშობლოს მოწინავე კოლექტივთა შორის. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო!

ჩვენი ხალხი, რომელიც მთელ თავის ძალებს ახმარს შემოქმედებითს აღმშენებლობითს შრომას, მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის მებრძოლთა ავანგარდშია.

განუხრელად იცავს რა ყველა სახელმწიფოსთან მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპებს და დაუცხრომლად ზრუნავს რა მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, საბჭოთა მთავრობამ, როგორც ცნობილია, ამ ბოლო დროს გადადგა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯები საგარეო პოლიტიკის დარგში, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება.

ამას მოწმობს ისეთი ფაქტები, როგორიც არის საბჭოთა კავშირის ინიციატივით ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, იუგოსლავიაში ჩვენი დელეგაციის გამგზავრება ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელშიც აგრეთვე შედიოდნენ აქ მყოფი ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიკოიანი, და საბჭოთა კავშირიუგოსლავიის დეკლარაციის ხელმოწერა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ნორმალური მეგობრული ურთიერთობის აღდგენას. **(მქუხარე ტაში).** შემდეგ, საბჭოთა კავშირში ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ბატონ ნერუს ჩამოსვლა და საბჭოთა კავშირ-ინდოეთის განცხადების ხელმოწერა.

და განსაკუთრებით დიდი, დამაიმედებელი მოვლენა საერთაშორისო ცხოვრებაში იყო დიდი სახელმწიფოების — ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირი. თათბირი მიმდინარეობდა თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით, მან ცხადყო არა მარტო ყველა მისი მონაწილის მისწრაფება მიეღწიათ დადებითი შედეგებისათვის, არამედ, აგრეთვე მათი განხორციელების შესაძლებლობა.

ამ ღონისძიებათა გამოხატულებაა ჩვენი მთავრობის ამას წინათ გამართული და წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკება მოსკოვში გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, აგრეთვე ფინეთის რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებთან.

ამ მოლაპარაკებში მთავარი ის არის, რომ იგი გარკვეულად აუმჯობესებს საერთაშორისო ვითარებას, ქმნის ნდობის ატმოსფეროს და ამით ხელს უწყობს მშვიდობის საქმეს. **(ტაში).**

თუ ვილაპარაკებთ ამ მოლაპარაკების კონკრეტულ შედეგებზე, იგი ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის ურთიერთობის ნორმალიზაციას გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკასთან, სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური თანამშრომლობისა და ნამდვილი მეგობრობის შემდგომ განვითარებას და საბჭოთა სახელმწიფოსა და მის უახლოეს მეზობელ ფინეთს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო პრობლემებს შორის მსოფლიოს ყველა ხალხისათვის ყველაზე მწვავე და მახლობელია განიარაღების პრობლემა.

ჩვენი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ა. ბულგანინის ცნობილ წერილში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ხატონ დ. აიზენჰაუერისადმი ამომწურავი სისრულით ჩამოყალიბებულია დაბრკოლებანი გამალებული შეიარაღების შეწყვეტის გზაზე და მოცემულია სავსებით კონკრეტული წინადადებანი, რომელთა განხორციელება რეალურს გახდის ნაბიჯებს განიარაღების გზაზე.

საბჭოთა კავშირის მისწრაფებასა და გულწრფელობას, რომ დაჩქარდეს განიარაღების პრობლემის გადაჭრა, მოწმობენ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებანი ჩვენი შეიარაღებული ძალების 640 ათასი კაცით შემცირების შესახებ, აგრეთვე გადაწყვეტილება ფინეთში სამხედრო-საზღვაო ბაზის — პორკალა-უდის ლიკვიდაციის შესახებ.

ჩვენი მთავრობის ეს ნაბიჯები იმის დამაჯერებელი მაგალითია, თუ როგორ უნდა გადაიჭრას მომწიფებული საერთაშორისო პრობლემები.

ამხანაგებო!

ჩვენი ხალხი, რომელსაც შთააგონებს და ხელმძღვანელობს ლენინის დიდი პარტია მისი ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, სახალხო დემოკრატიულ ქვეყნებთან და დიდ ჩინეთთან ძმური თანამშრომლობით, უმაგალითო გაქანებითა და ენერგიით აშენებს ადამიანთა ახალ საზოგადოებას — კომუნიზმს.

საბჭოთა ადამიანებისათვის შემოქმედებითი შრომა და ხალხთა შორის მშვიდობა მთელი მისი დაუცხრომელი შემოქმედებითი ცხოვრების დიდი პრინციპები და შინაარსია.

ჩვენი წმიდა მოვალეობაა თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ამ პრინციპებს. ამიტომ სანამ მსოფლიოში არიან მტრული ძალები, რომლებიც ცდილობენ ხელი შეგვიშალონ ვიაროთ არჩეული გზით, ჩვენ უნდა ფხიზელნი ვიყოთ და მუდამ გვახსოვდეს წარსულის გაკვეთილები, რომლებიც ჩვენს ხალხს უდიდეს მსხვერპლად და გაჭირვებად და მშრომელთა დიდ წმიდა სისხლად დაუჯდა. და უწინარეს ყოვლისა ეს უნდა ახსოვდეთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს — საბჭოთა არმიას და სამხედრო-საზღვაო ფლოტს. ისინი მუდამ უნდა იყვნენ სრული საბრძოლო მზადყოფნის მდგომარეობაში, ბეჯითად ეუფლებოდნენ უახლეს ტექნიკას, დაუცხრომლად იუმჯობესებდნენ სამხედრო ოსტატობასაც და სამხედრო-პოლიტიკურ ცოდნასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუდამ უნდა იყვნენ მთელი თავით მაღლა იმაზე, ვინც კიდევ გაბედავს ოდესმე თავს დაესხას სოციალიზმის წმიდა მიწა-წყალს.

თქვენ, სევასტოპოლელებო და შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებო, რომლებიც საბჭოების ქვეყნის სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე დგეხართ, წმიდად უნდა დაიცვათ და გაამრავლოთ გმირი ქალაქის საბრძოლო ტრადიციების დიდება და ღირსი იყოთ იმათი, ვისაც წარსულში არაერთხელ გაუცია ჯეროვანი პასუხი ჩვენი სამშობლოს მტრებისათვის.

გულითადად გილოცავთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სევასტოპოლელებო და სახელოვანი შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებო, მაღალ ჯილდოს და გისურვებთ ახალ წარმატებებს მშვიდობიან შემოქმედებითს შრომაში და ჩვენი საყვარელი სამშობლოს ძლიერების განმტკიცებაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დაე იფურჩქნებოდეს და მტკიცდებოდეს გმირი ქალაქი სევასტოპოლი — ურყევი სიმაგრე ჩვენი სამშობლოს საზღვაო საზღვრებზე! **(ტაში).**

დაე გმირი ქალაქის დამცველთა დიადი საგმირო საქმეები მარად ცოცხლობდეს საბჭოთა ხალხის გულში! **(ტაში).**

გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ ჩვენს დიდ ხალხს! **(ხანგრძლივი ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან კომუნისტურ პარტიას! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ჩვენს საბჭოთა მთავრობას! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

* * *

სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი. სხდომის მონაწილენი მხურვალედ მიესალმნენ ამხანაგ ხრუშჩოვს. მისი სიტყვის დროს დარბაზში ხევრჯერ გაისმა მქუხარე, ხანგრძლივი ტაში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

— ნება მიბოძეთ, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სახელით მხურვალედ მოგილოცოთ დიდი დამსახურებული ჯილდო — წითელი დროშის ორდენი, რომელიც ახლა გადმოგცათ კლიმენტ ეფრემის-ძე ვოროშილოვმა.

ეს მაღალი ჯილდო აღნიშნავს იმ დამსახურებას, რაც მიუძღვით სამშობლოს წინაშე ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც მტრების ურდოების წინააღმდეგ ბრძოლაში უჭკნობი სახელი მოიხვეჭეს. ეს ჯილდო აღნიშნავს იმ გმირობას, რაც გამოიჩინეს საბჭოთა მეომრებმა, შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა, რომლებმაც ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გაამრავლეს ჩვენი დიდი სამშობლოს სახელოვანი შვილების საბრძოლო საგმირო საქმენი. მთავრობის მაღალი ჯილდო აღნიშნავს აგრეთვე მშრომელთა სახელოვან საქმეებს ქალაქ სევასტოპოლის აღდგენისათვის ბრძოლაში, მათს თავდადებულ მუშაობას შავი ზღვის ფლოტის მებრძოლი ძალების აღდგენისა და შემდგომი განმტკიცებისათვის.

წითელი დროშის ორდენი, რომლითაც დაჯილდოებულია ქალაქი სევასტოპოლი, ბევრ რამეს გვავალებს. იგი გვავალებს კიდევ უკეთ ვიშრომოთ საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის.

ამხანაგი ხრუშჩოვი ლაპარაკობს იმაზე, თუ რა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა საბჭოთა ხალხმა სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში, რა ღონისძიებებს ახორციელებენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა მშვიდობისათვის და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, როგორ ირაზმებიან და რა მძლავრად იზრდებიან სოციალისტური ბანაკის ძალები, როგორ მტკიცდება ძმური ურთიერთკავშირი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხთა შორის.

— საბჭოთა ხალხი, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — დიდი აღმავლობით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისათვის. ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას საბჭოთა ხალხი შემოქმედებითი ძალების აყვავებით ეგებება. წარმატებით სრულდება მრეწველობის განვითარების გეგმები. ბევრი რესპუბლიკისა და ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წელს კარგი მოსავალი მოიყვანეს. მართალია, აღმოსავლეთის ზოგიერთ ოლქში გვალვის შედეგად მიღებულია დაბალი მოსავალი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანად ჩვენს ქვეყანაში მოყვანილია გაცილებით მეტი პური, ვიდრე წარსულ წლებში. ვითარდება საზოგადოებრივი მეცხოველეობა და ამის შედეგად მნიშვნელოვნად გადიდდა ხორცის, რძის და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოება და დამზადება, თუმცა ეს პროდუქტები ჯერ კიდევ ცოტაა. პარტია და მთავრობა, როგორც ცნობილია, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა უახლოეს წლებში მკვეთრად გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება.

ეჭვი არ არის, რომ თუ ჩვენ უფრო კრიტიკულად მოვეკიდებით მუშაობის ნაკლოვანებებს, მტკიცედ აღმოვფხვრით მათ, კიდევ უკეთ წავა საქმე მეურნეობის ყველა დარგში.

— ჩვენ თქვენთან ჩამოვედით, — აღნიშნავს ამხანაგი ხრუშჩოვი, — არა მარტო იმისათვის, რომ თქვენთან ერთად აღვნიშნოთ სასიხარულო მოვლენა, როგორიც არის წითელი დროშის ორდენის გადაცემა ქალაქ სევასტოპოლისათვის. ჩვენ ცოტა შეგაქებთ, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გავაკრიტიკეთ არსებული ნაკლოვანებანი. ვფიქრობთ, რომ ეს მხოლოდ სარგებლობას მოიტანს. როცა შევხარით იმას, რაც გუშინ მოვიპოვეთ, ყოველთვის უნდა ვფიქრობდეთ ხვალინდელ დღეზე, ვიხედებოდეთ წინ, კრიტიკულად ვეკიდებოდეთ ჩვენს მუშაობას, დროზე ვამჩნევდეთ ნაკლოვანებებს, ნაკლოვანებანი კი, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ცოტა როდი გვაქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ თვითდამშვიდება და ყოყოჩობა უაღრესად მავნე საქმეა, რომელიც ხელსაყრელია მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს მტრებისათვის.

ამხანაგი ხრუშჩოვი მოუწოდებს სევასტოპოლელებს მაღალი ჯილდოს პასუხად ამრავლონ თავიანთი შრომითი წარმატებანი, უკეთ იმუშაონ, იმუშაონ ისე, რომ თვითეული კმაყოფილებას გრძნობდეს თავისი ფიზიკური და გონებრივი შრომის შედეგების გამო, რადგან შრომა, მისი წარმატებები დიდ სიხარულს ანიჭებს ადამიანს, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ იგი მუშაობს თავისი ხალხის საკეთილდღეოდ, თავისი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების განსამტკიცებლად.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ სევასტოპოლის მშრომელები, შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურები ახალი წარმატებებით გაახარებენ სამშობლოს.

თავისი გამოსვლის დასასრულს ამხანაგი ხრუშჩოვი ამბობს:

— დიდი ლენინის მიერ დაარსებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წინ — ახალი გამარჯვებისაკენ კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლაში!

(დარბაზში ქუხს ხანგრძლივი ოვაცია, რომელიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის სიყვარულსა და ერთგულებას კომუნისტური პარტიისადმი — ყველა ჩვენი ისტორიული გამარჯვების სულიხმამდგმელისა და ორგანიზატორისადმი).

* * *

გაისმის ფანფარებისა და დოლის ხმა. დარბაზში შემოდიან სევასტოპოლელი პიონერები. ისინი გულითადად მიესალმებიან საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომის მონაწილეებს. ლექსით მიმართავენ სასტიკ ბრძოლაში ნაწრთობ ქალაქს, რუსი ხალხის დიდებას — სევასტოპოლს, რომელიც წლითიწლობით სულ უფრო მშვენიერი ხდება.

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან სევასტოპოლელი ბავშვების ამ მისალმებას.

სხდომის თავმჯდომარე ს. ვ. სოსნიცკი სევასტოპოლის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს საზეიმო სხდომას დახურულად აცხადებს. კვლავ და კვლავ ქუხს დარბაზში ოვაცია ბრძენი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პატივსაცემად, დიდი საბჭოთა სამშობლოს პატივსაცემად.

* * *

საზეიმო სხდომის მონაწილეებისათვის გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უკრაინულმა ხალხურმა გუნდმა უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის გ. ვერიოვკას ხელმძღვანელობით, სსრ კავშირის სახალხო არტისტებმა ე. ჩავდარმა, მ. გრიშკომ, უკრაინის სსრ სახალხო არტისტმა ნ. გონჩარენკომ, უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტებმა ვ. კოზერაცკიმ, ე. ერშოვამ, ვ. დუკლერმა, ა. ბელოვმა, კიევის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტმა ა. ჟილამ და სხვებმა.

კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა.

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

მოწინავეთა რიგებში ჩადგა ქუთაისის საავტომობილო ქარხანა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა აღნიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი საავტომობილო მრეწველობის მუშაობაში. ქუთაისის ავტომობილმშენებლები იბრძვიან იმისათვის, რომ ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების საფუძველზე სწრაფად გამოასწორონ ნაკლოვანებანი. ქარხნის საამქროებში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად.

ამ დღეებში ქარხნის საამქროთა პარტიულ ორგანიზაციებში გაიმართა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის კომუნისტების მობილიზაციის ბრძოლის ნიშნათ ჩატარდა.

ქუთაისის საავტომობილო ქარხანა ერთ-ერთი დიდი საწარმოა ჩვენს რესპუბლიკაში. მისი გამართული, წარმატებითი მუშაობა დამოკიდებულია ცალკეულ საამქროებზე, იმაზე თუ როგორ ასრულებენ ეს უკანასკნელი საწარმოო გეგმებს. რუხი თუჯის სამსხმელო საამქროს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საწარმოს ცხოვრებაში. აქ მზადდება ავტომანქანის 49 დეტალის სხმული. მაგრამ საამქროს კოლექტივი თავს ვერ ართმევს დაკისრებულ მოვალეობას. მიმდინარე წლის 9 თვის საწარმოო გეგმა შესრულებულია მხოლოდ 86 პროცენტით.

საანგარიშო მოხსენებაში პარტიიურის მდივანმა რ. მაჩიტიძემ მწვავედ გააკრიტიკა ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც საქმიანად არ ეხმარებიან საამქროს კოლექტივს, მათ შორის მთავარი მექანიკოსი შ. ზობოხიძე. ხშირია დანადგართა დაბალხარისხოვნად შეკეთების შემთხვევები, რის გამო დიდია მოცდენა. თვეობით ჭიანურდება მესამე და მეოთხე ბრძმედების დამონტაჟება. ხშირად ზიანდება ელექტრომოწყობილობა. ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი გ. ჩუბინიძე საჭირო ზომებს არ იღებს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად. საამქროში ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის დისციპლინის განმტკიცებას, დაბალია წარმოების კულტურა, დიდია წუნით გამოწვეული დანაკარგები.

კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ საანგარიშო მოხსენებაში ცოტა ადგილი ჰქონდა დათმობილი პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობის საკითხებს. საამქროში 130-ზე მეტი კომკავშირელია. ეს დიდი ძალაა. მაგრამ იმის გამო, რომ კომკავშირული ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ჯეროვან სიმაღლეზე ვერა დგას პოლიტიკურ-აღმზრდელობითი საქმიანობა ახალგაზრდობაში.

კადრების არასწორად განაწილების და შრომის დისციპლინის დარღვევის ფაქტებზე ილაპარაკეს კომუნისტებმა შ. გვალიამ და ვ. მაღრაძემ. საამქროში დიდია მუშათა დენადობა. წელს სამჯერ შეიცვალა საამქროს უფროსი.

გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო პარტიულმა კრებამ სიჩქარეთა კოლოფის საამქროში. მომხსენებელმა — პარტიიურის მდივანმა ტ. დუნდუამ და სიტყვებით გამოსულმა კომუნისტებმა ბ. გურესაშვილმა, ნ. კილატოვამ, ი. ხაზარაძემ და სხვებმა ღრმა ანალიზი გაუკეთეს საამქროს ჩამორჩენის გამომწვევ მიზეზებს და ილაპარაკეს ნაკლოვანებათა გამოსწორების ღონისძიებებზე. აღინიშნა, რომ საამქროში ხშირია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები, რაც მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის სუსტად დაყენებით აიხსნება. აგიტატორები გ. უგლავა, ლ. გვეტაძე და სხვები საუბრებს ზერელედ, უინტერესოდ ატარებენ. ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლაში პარტიიური სუსტად იყენებს კედლის გაზეთს.

კრებაზე მწვავედ გააკრიტიკეს ქარხნის პარტიული კომიტეტი და პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი, რომლებიც საკმაო ხელმძღვანელობას არ უწევენ საამქროს პარტიულ ორგანიზაციებს, არ ეხმარებიან მათ მუშაობის გაუმჯობესებაში.

კომუნისტების მაღალი აქტივობის ვითარებაში ჩაიარა საანგარიშო-საარჩევნო კრებამ ნორმალის საამქროში. მართალია, საამქრო გადაჭარბებით ასრულებს გეგმას, მაგრამ მუშაობაში ნაკლიც აქვს. სწორედ ამ ნაკლოვანებებზე გააამახვილეს პარტიული კრების ყურადღება მომხსენებელმა — პარტიიუროს მდივანმა რ. ჩოგოვაძემ და კამათში გამოსულმა კომუნისტებმა. მოწინავე მუშა, კომუნისტი კ. ირემაძე შეეხო მუშათა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებს და აღნიშნა, რომ პარტიიური ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ისეთ „წვრილმანებს“, როგორიც არის სპეცტანსაცმლის დაწესებულ ვადებში გაცემა და სხვ.

საანგარიშო-საარჩევნო პარტიულ კრებებზე კომუნისტების ფართო მსჯელობის საგანი იყო პოლიტიკური სწავლების, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების საქმიანობის საკითხები.

ანგარიშგება-არჩევნების პერიოდში მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა საამქროთა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა. ახლად არჩეულმა პარტიულმა ბიუროებმა ბევრი რამ უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ გადაჭრით გააუმჯობესონ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა საამქროებში და უზრუნველყონ საავტომობილო ქარხნის ჩაყენება ჩვენი ქვეყნის მოწინავე საწარმოთა რიგებში.

გ. მეფისაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად

* * *

ამუშავებულია მავთულსაგლინავი დგანი

რუსთავი. (საკ. კორ.). ამ დღეებში სტალინის სახელობის ამერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მოქმედ საგლინავ აგრეგატთა მწყობრში ჩადგა წვრილსორტული საამქროს მავთულსაგლინავი დგანი — 260.

დგანის ამუშავების პირველი სამი დღის განმავლობაში გამოშვებულია რამდენიმე ტონა 6,5-მილიმეტრიანი დიამეტრის მავთული.

რუსთავის მგლინავებს დგანის ათვისებაში აქტიურად ეხმარებიან მაკეევკის მეტალურგიული ქარხნის უფროსი ოპერატორი ხ. ილინსკი, მგლინავი გ. დიომინი და დნეპროძერჟინსკელი მგლინავი ი. ხოდოროვსკი. ისინი რუსთავში მუდმივ სამუშაოდ ჩამოვიდნენ და ახალგაზრდა მგლინავებს ასწავლიან ახალი აგრეგატის მართვას. მათი დახმარებით წვრილსორტული საამქროს მგლინავი შ. ბაჩიშვილი დგან—260-ზე დამოუკიდებლად მუშაობს მეალეკად.

ახალი დგანი გამოუშვებს სხვადასხვა დიამეტრის მავთულს, რომელზეც დიდი მოთხოვნილებაა სოფლის მეურნეობასა და მანქანათმშენებლობის საწარმოებში. ამას წინათ საამქროს უკვე მიიღო პირველი დაკვეთები მავთულზე რუსეთიდან და ამერკავკასიის რესპუბლიკებიდან.

წლიური გეგმა—ცხრა თვეში

თელავი. (საკ. კორ.). ლოპოტის მარმარილოს კარიერების კოლექტივმა პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალი წარმატება მოიპოვა. ცხრა თვეში 450 კუბური მეტრის ნაცვლად 601 კუბური მეტრი მარმარილო ამოიღო და ამით წლიური დავალება 100,1 პროცენტით შეასრულა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წელს დამზადებულია 50 პროცენტით მეტი მარმარილო.

ბ. ჩაბაკაურის, ტ. ელოშვილის, კ. ელანიძის, კ. ფიცხელაურის, ვ. შალიკაშვილის ბრიგადებმა ნაკისრი ვალდებულებები სახალხელოდ გაანადღეს.

წარმატებით მუშაობს თელავის ფიქალმარმარილოს მადნეულოს სამმართველოს კოლექტივი, რომელმაც წელს გეგმის გადამეტებით დაამზადა 5.130 კვადრატული მეტრი სახურავი ფიქალი და მშენებლებს გაუგზავნა 4.700 ტონა მარმარილოს ფხვნილი.



თბილისის სამსხმელო-მექანიკური ქარხანაში პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში ახალგაზრდა მუშებს დიდ დახმარებას უწევენ მაღალკვალიფიციური, გამოცდილი მუშები. **სურათზე:** მოწინავე ხარატი გ. კობახიძე რჩევა-დარიგებას აძლევს ახალგაზრდა მუშას ვ. ბერუაშვილს. ფოტო შ. ვოქაძისა.

გაზეთების ფურცლებზე

რკინიგზის ტრანსპორტზე ტექნიკური პროგრესისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმმა [illegible]ლისტური მრეწველობის ახალი მძლავრი [illegible]ლობის ფართო პროგრამა დასახა. ამ პროგ[illegible]ს განხორციელების გადამწყვეტი პროგ[illegible]რამოებაში ყოველივე ახლის, პროგრესუ[illegible]დანერგვა, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ [illegible]ოებსებათა ფართოდ გამოყენება და მათ [illegible] შრომის ნაყოფიერების შემდგომი [illegible]ის მიღწევა.

ტექნიკური პროგრესისათვის ამიერკავკასიის [illegible]გზის საექსპლოატაციო უბნების, სალიან[illegible]მეურნეობების და საწარმოთა კოლექტი[illegible]ზრუნვას ასახავს თავის ფურცლებზე გა[illegible] „ულეზნოდოროჟნიკ ზაკავკაზია“ („ამიერკავკასიის რკინიგზელი“). გაზეთი სისტემა[illegible]ად ბეჭდავს მასალებს, რომლებიც ეხება ამიერკავკასიის რკინიგზელთა ბრძოლას ტექ[illegible]ული პროგრესისათვის. ამის წინათ გა[illegible] მთელი გვერდი დაუთმო ზაუ[illegible]კავანძის რკინიგზელთა საქმიანობას ტექნი[illegible] პროგრესისათვის. სავაგონო პუნქტის [illegible]იკური გასინჯვის ცვლის ოსტატი დ. ჩა[illegible]ელი, ზაურის სადგურის უფროსის მოადგ[illegible] ნ. ჭყოიძე, საელმავლო დეპოს პარტბიუ[illegible]მდივანი გ. ნოზაძე და სხვები თავიანთ [illegible]ლებში მოგვითხრობენ, თუ რა ხერხებითა [illegible]ეთოდებით აჩქარებენ მატარებლების მოძ[illegible]ას, ვაგონების ბრუნვას, როგორ მოჰყავთ [illegible]ოგში სალიანდაგო მეურნეობა და სხვ.

[illegible]წინავე მაგალითების ჩვენებასთან ერთად [illegible]თი აკრიტიკებს იმათ, ვინც ნაკლებად [illegible]ავს ტექნიკურ და ტექნოლოგიურ გაუმ[illegible]ესებათა დანერგვისათვის. 20 სექტემბრის [illegible]ის მოწინავე სტატიაში „ავამაღლოთ პარ[illegible]ლი ზრუნვა ტექნიკური პროგრესისათვის“ [illegible] წერს:

„ჩვენს გზაზე ცოტა როდი საწარმოები, [illegible]რომლებიც ცუდად მუშაობენ უწინარეს ყოვ[illegible]ისა იმიტომ, რომ მათი ხელმძღვანელები გა[illegible]ურბიან ყოველივე ახალს, მოწინავეს. ისინი [illegible]თითონ არ ფიქრობენ წარმოების გა[illegible]უმჯობესებისათვის და ორც აკეთებენ რა[illegible]ს იმისათვის, რომ გადმოიღონ სხვე[illegible]ის გამოცდილება. ცნობილია, მაგალითად, [illegible]თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საორთქ[illegible]ველო დეპოების მუშაობისათვის ორთქ[illegible]ავალთა უეცარი გამართვას. იგი აუმჯობ[illegible]ებს შრომის პირობებს, აჩქარებს ორთქ[illegible]ველის გამართვას. მიუხედავად იმისა, რომ [illegible]ასეთი დანადგარები არის ერევნის, ლენინა[illegible]ანის და თბილისის დეპოებში, ისინი 1951 [illegible]ლიდან უმოქმედოდ დგანან“.

[illegible]ზეთმა გააკრიტიკა აგრეთვე გზის სამმარ[illegible]თველოს კავშირგაბმულობის სამსახური იმი[illegible]ვის, რომ დღემდე ვერ მოგვარდა ზესტაფო[illegible]ის, სამტრედიისა და სუმგაიტის სადგურებში [illegible]ევრო ორთქლმავლებზე რადიოკავშირის [illegible]ყობა. სალოკომოტივო სამსახურის დაუდევ[illegible]ობით ზაურისა და შორაპნის დეპოებში [illegible]მდე დანერგილი არ არის ორთქლმავლების [illegible]ილი გარეცხვა.

[illegible]ზეთი მოუწოდებს გზის სამეურნეო, პარ[illegible]ული და პროფსაბჭო ორგანიზაციებს გააძ[illegible]ლონონ ბრძოლა ტექნიკური პროგრესისათვის, [illegible]რომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ტექნიკური სიახლენი საკონსერვო ქარხანაში

ბორი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად ახალი [illegible]ტექნიკით იარაღდება საკონსერვო ქარხანა. [illegible]თავარ საამქროში ახლა მექანიზებული ბოსტ[illegible]ნეულისა და სოუსის ხაზები. სამუშაბე საამქ[illegible]როში შარშან და წელს დამატებით დაიდგა რვა [illegible]ახალი სხარშავი ქვაბი, ერთი ვაკუუმაპარატი. [illegible]ასტერილიზაციო განყოფილებას დაემატა ოთ[illegible]ი ავტოკლავი.

[illegible]წელს მთლიანად მექანიზებული იქნება აგ[illegible]რეთვე ვაშლის წვენის გამომშვები საამქრო. აქ [illegible]ატებთან დაიდგა ორი საწნახი დანადგარი. [illegible]ამთ საამქროს წარმადობა ერთიორად და მუ[illegible]ად გადიდდა.



ხოხუმის ორჯონიკიძის სახელობის ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატში ქალისა და მამაკაცის ფეხსაცმლის შესაკერად წელს გაიმართა ორი კონვეიერი, დაიდგა აგრეთვე დაზგები. სურათზე: ახალი ჰიდრომერიული წნები, რომელიც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს ტყავის ხარისხს. ფოტო პ. ლუცენკოსი.

წარმოების რეზერვების გამოყენებით

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს 1955 წლის 9 სექტემბერს შეასრულა სასაქონლო პროდუქციის დამზადების ხუთწლიანი გეგმა და ამჟამად მარგანეცს ითვალი ხუთწლედის ანგარიშში იძლევა.

ახალი მექანიზმების გამოყენებითა და შრომის სწორი ორგანიზაციით 1950 წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება 45,3 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მექანიზმებით მარგანეცის დატვირთვა — 50 პროცენტით. განვლილ ხუთწლედში მუშაობაში დაინერგა მარგანეცის სატვირთავი მანქანები, რომელთა გამოყენებამ შეამსუბუქა შრომა, გაზარდა გამომუშავება.

ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის წარმატებით იმუშავეს მაღაროს იმ უბნებმა, რომლებსაც გ. სამხარაძე, გ. გაფრინდაშვილი, ი. კუხიანიძე, გ. გვალია, ი. ჩაჩანიძე, ვ. კაპანაძე და ა. კაპანაძე ხელმძღვანელობენ.

სასაქონლო პროდუქციის გეგმის შესრულებაში განსაკუთრებით ისახელეთ თავი ოცდამეოთხე გამამდიდრებელმა ფაბრიკამ, რომელმაც მნიშვნელოვნად გაადიდა პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადება. გეგმა ვადაზე ადრე გაანაღდეს მოწინავე მუშებმა — მარგანეცის მნგრეველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ფოფხაძემ, ა. კიპაროიძემ, კ. კილაძემ, ლ. გურჯიძემ, ი. მიქატაძემ, ლ. მეგრელიშვილმა, ი. კურტანიძემ, ა. ზელეპუხინმა.

მაღაროს კოლექტივმა ხუთწლიანი გეგმის ვადაზე ადრე შესრულებისათვის განახორციელა მთელი რიგი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები. კერძოდ, გადამაგრებულია მაღაროს მთავარი საზიდი, გაყვანილია ორლიანდაგიანი რკინიგზა, რამაც გააადვილა ზიდვის პროცესი და მნიშვნელოვნად გაზარდა მაღაროს წარმადობა. ოცდამეოთხე გამამდიდრებელი ფაბრიკის ნედლეულით უზრუნველყოფის მიზნით 1.000 მეტრზე გაგრძელდა პირველი შტოლნი, რომელიც დაუკავშირდა მეშვიდე გვირაბის მთავარ საზიდს. ამით გადიდდა თხილისწყლის მაღაროს წარმადობა. თუ წინათ ამ მაღაროს მე-6, მე-7, მე-8, მე-9 უბნები საშუალოდ 600 ტონა მარგანეცს იძლეოდნენ, ახლა მათმა წარმადობამ 1.000 ტონას მიაღწია.

გაუმჯობესდა სასკოლაერო დანადგარზე მძლავრი ტიპის ჯალამბრების მოწყობა. ამით ამ დანადგართა წარმადობა დღეღამეში აყვანილია 90-100 ტონამდე ნაცვლად წინანდელი 60-70 ტონისა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მასალების ეკონომიურად ხარჯვას. ბიგების განმეორებით გამოყენების მიზნით უბნებში დაინერგა ლავებიდან ბიგების გამოსატაცებელი ჯალამბარი. გამაუხვებელ ფაბრიკებში დაიდგა ახალი დამლექი ცხრილები, რითაც გაუმჯობესდა მარგანეცის რეცხვის ტექნოლოგიური პროცესი. ამან საშუალება მოგვცა გაგვედიდებინა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

ამჟამად მაღაროთა სამმართველოს მთელი კოლექტივი ენერგიულად იბრძვის, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდეს პარტიის XX ყრილობას. დასახულია ღონისძიებები მეექვსე ხუთწლედში გამართული მუშაობისათვის, წარმოებაში ახალი რეზერვების გამოვლინებისა და დანერგვისათვის. სამმართველო ამზადებს ახალ ველს ბაზალტებში, სადაც მალე გავიყვანთ საელმავლო გზას. ველი საექსპლოატაციოდ გადაეცემა უახლოეს დროში. ეს დიდად დაგვეხმარება მეექვსე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულებაში.

ლ. ჩხაიძე,

ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროთასამმართველოს მთავარი ინჟინერი.

რეჰანის დიდი მოსავალი

ყვარელი. (საკ. კორ.). ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობამ ძვირფასი ეთერზეთოვანი კულტურის — რეჰანის პლანტაციები სანიმუშოდ დაამუშავა. ნიადაგის თოხნა და კულტივაცია, სასუქების შეტანა, მორწყვა აგროწესების დაცვით ჩატარდა.

ახალსოფლელებს შრომა დაუფასდათ. 15 ჰექტარი ფართობიდან 5.700 ცენტნერი რეჰანი მიიღეს, გეგმა კი 2.110 ცენტნერს ითვალისწინებდა. პირველმა ბრიგადამ (ბრიგადირი ვ. ჯამალაშვილი) მოსავლიანობის ზრდის დავალება ხუთასი პროცენტით შეასრულა. კოლმეურნე თამარ ბუთიაშვილმა ნახევარ ჰექტარზე 100 ცენტნერი რეჰანი მიიღო ნაცვლად 13 ცენტნერისა. მას არც ს. ჩიგილაშვილი, მ. პოპოვი და სხვები ჩამორჩნენ.

ახალსოფლის კოლმეურნეობამ რეჰანის მეორე მოსავლის მიღება გადაწყვიტა. ამ მიზნით რეჰანის მოსავლის აღების შემდეგ ნიადაგი გააფხვიერეს და სასუქი შეიტანეს. მცენარემ ხელმეორედ ამოიყარა, ნაზარდის სიმაღლემ უკვე 25 სანტიმეტრს მიაღწია. მეორე მოსავალი ოთხას ცენტნერს გადაამეტებს.

რეჰანის დიდი მოსავალი მიიღო აგრეთვე შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობამ.

პირუტყვის საკვებომების მშენებლობა

ლენინგორი. (საკ. კორ.). მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობის შესახებ მხურვალედ გამოეხმაურნენ ლენინგორის რაიონის მთის კოლმეურნეობები. ბევრმა კოლმეურნეობამ უკვე მიაღწია პირუტყვის პროდუქტიულობის საგრძნობ ამაღლებას.

უკანასკნელ ხანებში მთის სოფლის კოლმეურნეობებმა ფართოდ გაშალეს პირუტყვის კეთილმოწყობილი საკვებომების მშენებლობა.

სოფელ თოხთის საბჭოთა უკრაინის სახელობის კოლმეურნეობამ გასულ წელს მთაში პირველმა წამოიწყო პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა. აქ უკვე ააგეს 100 სული პირუტყვისათვის საკვებომი, რომლის ნაწილობრივ მექანიზაციას მოკლე ხანში შეუდგებიან. ახალი საკვებომები ააშენეს სოფელ ლარგვისის, ორჯონიკიძის სახელობის და ცხრამეტულას ხეობის სოფელ უკანამხარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებმა. საკვებომებთან ახლოს აშენდა სასილოსე ნაგებობანი.

მთის სოფლების ბევრმა კოლმეურნეობამ ამ შემოდგომაზე დაიწყო პირუტყვის კეთილმოწყობილი ბინების მშენებლობა.

რაიონული ორგანიზაციები ეხმარებიან კოლმეურნეობებს საშენი მასალით და ტრანსპორტით.

წერილები რედაქციას

მეორე ყურადღება კურორტ ცაიშს

ცაიშის მინერალური წყალი თავისი სამკურნალო თვისებებით მრავალ ავადმყოფს იზიდავს. აქ ყოველწლიურად 10-12 ათასი ავადმყოფი ჩამოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან და ბევრი განკურნებული ბრუნდება უკან.

— ჩემი შვილი მიხეილი ფსორიაზით იყო დაავადებული. იგი ორი წლის განმავლობაში იტანჯებოდა. ვის არ მივმართეთ. მას ჩვენი ქვეყნის უდიდესი სპეციალისტები მკურნალობდნენ, მაგრამ მდგომარეობა ვერ შეუმსუბუქეს, — აცხადებს მოსკოველი ტრახტენბერგი, — ცაიშის მინერალურმა წყალმა კი სასწაული მოახდინა. ჩემი შვილი მთლიანად განიკურნა.

ავადმყოფი ი. თ. მალევიჩი ქვედა კიდურის განგრენით (კვდომა) იტანჯებოდა. მოსკოვის, როსტოვის და სხვა ქალაქების კლინიკებში მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო. საქმე ქვედა კიდურის მოკვეთამდე მივიდა. ცაიშს მინერალური წყლის გავლენით ავადმყოფის მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესდა.

დაკვირვებებით დადასტურებულია, რომ ცაიშის მინერალური წყალი დადებით გავლენას ახდენს ეკზემის, ფსორიაზის, ნევროდერმიტების, პერიფერიული ნერვიული სისტემის ქრონიკული ანთების (რადიკულიტი, იშიასი), გინეკოლოგიური დაავადებების, ბუასილის, ჰიპერტონიული სნეულების (I ხარისხი), სახსრებისა და კუნთების რევმატიული და სხვა სახის ქრონიკული ანთების დროს.

ამჟამად ეს შესანიშნავი კურორტი პრიმიტიულ მდგომარეობაშია. აქ ავადმყოფთა მკურნალობის მინიმალური პირობებიც კი არ არის შექმნილი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს კურორტზე სამშენებლო სამუშაოები. კურორტის ტერიტორიაზე საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს აშენებული აქვს მრავალი სახლი. ვინაიდან ამ შენობებს არავინ პატრონობს, ისინი საექსპლოატაციოდ გადაცემამდე განადგურდა.

საქალაქო და სასოფლო მშენებლობის სამინისტრო, რომელიც ამ კურორტს აშენებს, სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. მიმდინარე წელს კურორტის მშენებლობისათვის გამოყოფილი 700 ათასი მანეთი აუთვისებელია, ვინაიდან სამინისტრომ მშენებლობას ფული გამოუყო, საშენი მასალა კი არა.

კურორტზე აგებული შენობები სხვადასხვა ორგანიზაციებს უჭირავთ. მრავალი ასეული ავადმყოფი კი ბინის უქონლობის გამო უკან ბრუნდება. კურორტი უკეთესად იმუშავებდა და სხვა სამინისტროებსაც მიეცემოდათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების მშენებლობის საშუალება, რომ დაემთავრებინათ საამბანო შენობა, რომელიც ჯერ კიდევ 1952 წელს დაიწყო. ავადმყოფთა მკურნალობის მინიმალური პირობების შექმნა კი დიდად არის დამოკიდებული სწორედ ამ საამბანოს მშენებლობის დამთავრებაზე.

ცაიშს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კურორტთა მთავარმა სამმართველომ. აქ ყველა პირობა უნდა შეიქმნას ავადმყოფთა ნორმალური მკურნალობისათვის. საჭიროა სამშენებლო ორგანიზაციებმა დააჩქარონ მშენებლობის სამუშაოები.

ცაიში კეთილმოწყობილ კურორტთა რიგებში უნდა ჩადგეს.

გ. თუზბაია,

კურორტ ცაიშის მთავარი ექიმი.

მშრომელები მოითხოვენ

დღითიდღე ფართოვდება ახალციხის ქვანახშირის სადამბო ცენტრის—ვალეს კეთილმოწყობის სამუშაოები. წინათ უკაცურ და შიშველ მიწაზე ორ-სამ სართულიანი კაპიტალური შენობები აღიმართა, გაყვანილ იქნა ასფალტირებული გზები, ქუჩების განსწვრივ დადგა ლამპიონები.

ვალეს კეთილმოწყობისათვის, მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის სახელმწიფო მილიონებს ხარჯავს. მაგრამ ჯერჯერობით აქ მოუგვარებელია ერთი მეტად საყურადღებო საქმე: ორი წლის წინათ ვალეში კანალიზაციის ქსელის გაყვანა დამთავრდა, მაგრამ სამუშაო უხარისხოდ შესრულდა. კანალიზაციის ჭები ტექნიკური ნორმების დაუცველად მოეწყო.

ვალეს სადამბო საბჭოში ბევრჯერ იყო მსჯელობა ამ საკითხზე, მაგრამ მშრომელთა სამართლიანი შენიშვნები უპასუხოდ დარჩა.

შ. ხაჭაპურიძე,

ვალეს სადამბო საბჭოს დეპუტატი.

ხელოვნების ამგები

ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი

ამ ცოტახნის წინათ აჭარის ასსრ სამეცრისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი (სამხატვრო ხელმძღვანელი აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი მ. ჩხეიძეშვილი, ქორეოგრაფი აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი ე. ხაბაძე) დაბრუნდა შორეული საგასტროლო მოგზაურობიდან.

ანსამბლი ორთვენახევარზე მეტხანს მოგზაურობდა ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში, სადაც 60-ზე მეტი კონცერტი მოაწყო.

გასტროლები ანსამბლმა კურსკიდან დაიწყო. შემდეგ კონცერტი გამართა ტულაში, სადაც მას განსაკუთრებით გულთბილად შეხვდნენ. ანსამბლის გასტროლები დაემთხვა ტულელთა ტრადიციულ სამფერის დღესასწაულს, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ბათუმელმა მსახიობებმაც.

შემდეგ ანსამბლი ეწვია ბელორუსიას. ანსამბლის კონცერტები გულთბილად მიიღო ვიტებსკის, ბრიანსკის, ვოლოგდის და ბელორუსიის სხვა ქალაქების საზოგადოებრიობამ.

დიდი წარმატება ხვდა წილად ანსამბლს პეტროზავოდსკში. ერთ-ერთ კონცერტს, რომელიც ქალაქის კულტურისა და დასვენების პარკში გაიმართა, 10 ათასამდე მაყურებელი დაესწრო.

კონცერტებს გარდა, ანსამბლი ხშირად მართავდა შემოქმედებითს შეხვედრებს საწარმოთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივებთან. ასეთი შეხვედრები მოეწყო ვლადიმირში, ბეიეცაში, ჩერეპოვეცში, აგრეთვე კარელია-ფინეთის სსრ სახელმწიფო ანსამბლ „კანტელესთან“, მოსკოვის, მურმანსკის, არხანგელსკის საოლქო ანსამბლებთან.

ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობის ფინალს წარმოადგენდა მისი კონცერტები მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთათვის. აქ გამართული ოთხი კონცერტიდან ერთი სპეციალურად ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციისათვის მოეწყო. ანსამბლმა სამართლიანად დაიმსახურა ალბანეთის დელეგაციის და ალბანეთის სოფლის მეურნეობის მინისტრის მატეო ჩიმოის მოწონება. გამოფენის ხელმძღვანელობამ და მაყურებლებმა სურვილი გამოთქვეს ანსამბლი კვლავ ესტუმროს გამოფენას 1956 წელს.

ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივის წარმატება რამდენჯერმე აღინიშნა საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

ანსამბლის წარმატების საფუძველია შემოქმედებითი კოლექტივის თავდადებული და ენერგიული შრომა. თავისი არსებობის 35 წლის მანძილზე მის რიგებში აღიზარდნენ ისეთი ნიჭიერი შემსრულებლები, როგორიც არიან აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტები მოცეკვავეები ფ. კობალაძე, თ. მიქელაძე, მომღერლები მ. კობალაძე, ვ. გაბისონია, ე. კოსტავა, სოლისტები გ. მიქაძე, ა. ხალვაში, შ. აბშილავა, ი. ცინცაძე, ნ. დოლიძე, შ. ხიმაღურიძე, ა. შალაძე, ე. დოლიძე და სხვ.

ახლახან ანსამბლმა მიიღო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის პრეზიდიუმის სამმართველოს მადლობა და სურვილი — მომავალ წელსაც ესტუმროს გამოფენას.

გასტროლების დროს მიღწეული წარმატება აღაფრთოვანებს ანსამბლის კოლექტივს და რაზმავს მას ახალი შემოქმედებითი გამარჯვებებისათვის.

დ. კაპანაძე,

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

დაიხურა მ. სარიანის ნაწარმოებთა გამოფენა

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში 12 ოქტომბერს დიხურა სომხეთის სსრ სახალხო მხატვრის, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, სტალინური პრემიის ლაურეატის მ. ს. სარიანის ნამუშევართა გამოფენა, რომელიც ერთი თვის მანძილზე 50 ათასზე მეტმა მნახველმა დათვალიერა.

გამოფენის დახურვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა და საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიამ მოაწყეს მ. სარიანის შეხვედრა საქართველოს მხატვრებთან.

შეხვედრა, რომელსაც თბილისის საზოგადოებრიობის მრავალ წარმომადგენელთან ერთად ესწრებოდნენ სომხეთის მხატვრები და სომხეთის სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები, შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილემ გ. ქიქოძემ.

მ. სარიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პროფესორმა შ. ამირანაშვილმა.

სიტყვებით გამოვიდნენ ხელოვნებათმცოდნე პროფესორი დ. გორდეევი, ხელოვნებათმცოდნე თ. არმანდი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ლ. მაცულევიჩი, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე, საქართველოს სახალხო მხატვარი, სტალინური პრემიის ლაურეატი უ. ჯაფარიძე, სომხეთის საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარე, სომხეთის სახალხო მხატვარი გ. გურჯიანი, სომხეთის სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე ს. გასპარიანი.

დასასრულ მ. სარიანმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ გულთბილი შეხვედრისათვის.

შეხვედრის შემდეგ გამართულ კონცერტში მონაწილეობა მიიღეს თბილისის თეატრებისა და საქართველოს ფილარმონიის საუკეთესო არტისტებმა ძალებმა.

ბ. ძნელაძე.

როგორ აღვრიცხოთ სწორად სიმინდის ყველა სახის პროდუქცია

[illegible]ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის კულტურას, როგორც [illegible]მარცვლეული პროდუქციის საგრძნობ[illegible] გადიდების და პირუტყვისათვის მყარ[illegible] საკვები ბაზის შექმნის წყაროს.

[illegible]საბჭოთა კავშირის კომუნისტური [illegible]პარტიის ცენტრალური კომიტეტის იან[illegible]ის პლენუმის გადაწყვეტილების განხ[illegible]ორციელებლად საქართველოს სსრ [illegible]კოლმეურნეობებში 24.600 ჰექტარით [illegible]გადიდეს სიმინდის ნათესი ფართობი [illegible]წინა წელთან შედარებით.

[illegible]გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს, [illegible]რომ ნაწვერალზე ნათესი სიმინდის [illegible]ფართობს წარსულში არასოდეს არ მი[illegible]ეწევია ისეთი ოდენობისათვის, [illegible]როგორც წელს. ეს ნათესი შეადგენს 35 [illegible]ათას ჰექტარს, გასული წლის 3,3 ათასი [illegible]ჰექტარის ნაცვლად. სანაწვერალო ნა[illegible]ესს ძალიან კარგი პირი უჩანს.

[illegible]სიმინდის მოსავლის აღება უკვე გა[illegible]ზეულია როგორც აღმოსავლეთ საქ[illegible]ართველოს, ისე დასავლეთ საქართვე[illegible]ლოს რაიონებშიც.

[illegible]სიმინდის მოსავლის აღება ხდება:

1) სრული სიმწიფის სტადიაში;

2) რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის [illegible]ტადიაში;

3) არა მარტო რძისებრ-ცვილისებრი [illegible]სიმწიფის ტაროებს, არამედ აგრეთვე [illegible]როგორც წელს ხდება) სრული სიმწი[illegible]ის ტაროების აღების შემდეგ დატ[illegible]ებულ ღეროებსა და მწვანე მასას [illegible]ებენ სასილოსედ;

4) სიმინდის მწვანე ღეროს აღებენ [illegible]დამატებით საკვებად და, ბოლოს,

5) სიმინდის სრულ სიმწიფეში ტაროების მოტეხის შემდეგ იღებენ ჩალას, [illegible]ომელიც წელს პირველად აღირიცხე[illegible]ა ცალკე.

[illegible]სიმინდის ასეთი მრავალფეროვანი [illegible]როდუქცია წელს კოლმეურნეობებში [illegible]ალცალკე უნდა აღირიცხოს.

[illegible]მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილების გათვალისწინებით ზემდგომი [illegible]ორგანოები რჩევას იძლეოდნენ რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის სტადიაში [illegible]ებული სიმინდის ტაროების დაკონ[illegible]ერვება მოეხდინათ ღეროებისაგან განცალკევებულად. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, კასპის, გარეუბნის და სხვა რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ ამ სტადიის სიმწიფის ტაროები ღეროსთან ერთად დასილოსა.

ერთად დასილოსება დასაშვებია, მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობა იძულებულია რძისებრ-ცვილისებრი ან რძისებრი სიმწიფის ტარო აიღოს და დასილოსოს ღეროსთან ერთად, ტაროს და ღეროს მოსავალი ცალცალკე უნდა გატარდეს შემოსავალში.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ ტარო შემოსავალში უნდა გატარდეს როგორც მარცვლეული პროდუქცია, ხოლო ღერო — როგორც სასილოსე მასა. ტაროს წონის დასადგენად საჭიროა ექსპერტიზის გზით გამოირკვეს ჰექტარზე ტაროს მოსავლიანობა მისი წონითი შეფარდების მიხედვით იმ ნაკვეთებზე, სადაც მოსავლის აღება ცალცალკე ხდებოდა (ცალკე ტაროსი და ცალკე ღეროსი), აგრეთვე ტაროს და ღეროს შერჩევითი ცალცალკე აღების მონაცემების მიხედვით.

სიმინდის შემოსავალში გატარება მოსავლის კომბაინებით აღების დროს ხდება კომბაინით აღების დღიურის მიხედვით. იმ შემთხვევაში, როცა ტარო კომბაინით აღების დროს მთლიანად არ არის მოცილებული და ტაროების ნაწილი სასილოსე მასაში ხვდება, შემოსავალში მარცვლის გატარებისას შეტანილ უნდა იქნას შესწორება ტაროს იმ რაოდენობის გათვალისწინებით, რაც სასილოსე მასაში წავიდა.

როცა ტაროს ხელით ტეხენ, მოსავლის აღრიცხვა ხდება დღიურში, ამასთან აღინიშნება, რომ მოსავალი ხელით არის აღებული. დღიურს ხელს უნდა აწერდნენ მწონავი და ბრიგადირი. შემოსავალში სიმინდის გატარების ყველა დოკუმენტზე (მოსავლის აღების დღიურებზე და საკვების მიღების აქტებზე) აუცილებლად უნდა აღინიშნოს ბრიგადის (რგოლის), კომბაინის (თუ მოსავლის აღება კომბაინით ხდებოდა) ნომერი და ნაკვეთის ფართობი.

სასილოსედ აღებული ჩალის გატარება შემოსავალში ხდება ჩადებული სასილოსე მასის წონის მიხედვით საკვების მიღების აქტის საფუძველზე. ცალკე აღირიცხება და საკვების მიღების აქტით შემოსავალში გატარდება მწვანე საკვებად დათესილი სიმინდი. მოსავალი განისაზღვრება მწვანე მასის წონის მიხედვით.

სიმინდის დასილოსებული ფუჩეჩაანი ტაროები ხმელ მარცვალზე გადაყვანით აღინიშნება მხოლოდ კოლმეურნეობის წლიურ ანგარიშში და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ოპერატიულ ანგარიშგებაში.

შემოსავალში მოსავლის გატარების პირველადს დოკუმენტებსა და სტატისტიკურ აღრიცხვის წიგნებში მთელი სამარცვლე სიმინდი, აღებული სრულ სიმწიფესა და რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეში, აღირიცხება ტაროს წონით.

გამოანგარიშების დროს იმ სიმინდის გადასაყვანად სრული სიმწიფის მარცვალზე, რომელიც რძისებრ-ცვილისებრ სიმწიფეშია აღებული, საჭიროა ვიხელმძღვანელოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ რეკომენდებული კოეფიციენტებით.

თუ ნაკვეთზე რძისებრი სიმწიფის ტაროებია 75 პროცენტი, ხოლო ცვილისებრი სიმწიფისა 25 პროცენტი, ერთ კილოგრამ საკვებში იქნება 0,3 კილოგრამი საკვები ერთეულები და ხმელ მარცვალზე გადაყვანის კოეფიციენტი იქნება 0,23. რომელზეც უნდა გავამრავლოთ მოტეხილი ტაროების წონა, რათა მივიღოთ ხმელი მარცვლის წონა. თუ ნაკვეთზეა რძისებრი სიმწიფის ტაროების 50 პროცენტი და ცვილისებრი სიმწიფის ტაროების 50 პროცენტი, ერთ კილოგრამ საკვებში იქნება 0.4 საკვები ერთეული და ხმელ მარცვალზე გადაყვანის კოეფიციენტი იქნება 0,31. თუ ნაკვეთზეა რძისებრი სიმწიფის ტაროების 25 პროცენტი, ხოლო ცვილისებრი სიმწიფის ტაროების 75 პროცენტი, ერთ კილოგრამ საკვებში იქნება 0,5 საკვები ერთეული და ხმელ მარცვალზე გადაყვანის კოეფიციენტი იქნება 0,39. რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის ტაროების ხმელ მარცვალზე გადაყვანის კოეფიციენტს უნდა აწესებდეს კოლმეურნეობის აგრონომი მემანდვრეობის ბრიგადის ბრიგადირთან ერთად.

სრული სიმწიფის ტაროების გადაყვანისას ხმელ მარცვალზე საერთო წონას გამოაკლდება ნაგულის (ნაქუჩის) 22 პროცენტი.

სიმინდის სტანდარტულ სასურსათო-საფურაჟე მარცვლად ითვლება 17 პროცენტამდე ტენიანობის მქონე მარცვალი.

სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესაბამისად 1 ნოემბრისათვის ყველა სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის შესახებ ანგარიშთან ერთად ყველა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა წარადგინოს ანგარიში სიმინდის მოსავლის ფაქტიურად აღების შესახებაც ყველა მისი ზემოჩამოთვლილი სახით.

თუ მოსავლის აღებისას არ წარმოიქმნა ცალცალკე აღრიცხვა და სათანადო პირველადი დოკუმენტების გაფორმება, ამან შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ მარცვლის დიდი ნაწილი აღურიცხველი დარჩეს. ამიტომ, არა უგვიანეს ა. წ. 25 ოქტომბრისა, სწორი და ზუსტი აღრიცხვის, აგრეთვე ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის შემოსავალში სრულად გატარების მიზნით, მტს-ებმა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორებთან ერთად ინსტრუქტაჟი უნდა გაუწიონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების ბუხჰალტრებს (მოანგარიშეებს), რომ მათ წესრიგზე მოიყვანონ პირველადი დოკუმენტაცია როგორც სიმინდის, ისე დანარჩენი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ფაქტიური აღების შესახებ და რომ სწორად შეადგინონ კოლმეურნეობების (საბჭოთა მეურნეობების) ანგარიშგება № 29 ფორმის მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო კულტურების პროდუქციის აღრიცხვის ზემოთ მოყვანილი წესი დროზე და ზუსტად უნდა განვახორციელოთ.

ს. დემუროვი,

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს აგრონომ-ეკონომისტი.

ინგლისის ხომალდები ლენინგრადში

ლენინგრადი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს დილით ნევის სანაპიროებზე დიდი გაცხოველება იყო. ლენინგრადელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები მოდიოდნენ აქ, რათა ენახათ ინგლისის ხომალდები, რომელნიც მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ. ყურადღების ცენტრშია ავიოსანი „ტრიუმფი“. მის გემბანზე მოჩანან ბრიტანეთის ავიაგამანადგურებლები. შემდეგ ლეიტენანტ შმიდტის ხიდს იქით ორ წყვილად დგანან ინგლისის საესკადრო ნაღმსნები და მათ წინ — ნაღმგადამღობი „აპოლო“.

დილით მეტროპოლიის ფლოტის სარდალმა ადმირალმა მაიკლ დენმ ავიოსან „ტრიუმფზე“ პრეს-კონფერენცია გამართა საბჭოთა პრესის წარმომადგენლებისათვის. აქვე იყვნენ უცხოელი კორესპონდენტები.

ადმირალმა მაიკლ დენმ გააკეთა შემდეგი განცხადება:

— ჩემს სარდლობაში მყოფი ესკადრა, ესკადრის ყველა ოფიცერი ძალიან მოხარული არიან, რომ შესაძლებლობა აქვთ იყვნენ ლენინგრადში, დიად ნევაზე. სანამ ნევით მოვდიოდით, მის ნაპირებზე ეხეადვდით ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომელნიც გვხვდებოდნენ და მოგვესალმებოდნენ. ეს ბრიტანეთის სამხედრო ხომალდების პირველი ვიზიტია ცხრა წლის განმავლობაში. გარდა იმისა, რომ ეს ვიზიტი გაუკეთეთ ლენინგრადს და საბჭოთა კავშირის ხალხს, იგი არის აგრეთვე ვიზიტი საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტისადმი.

ადმირალმა მაიკლ დენმ განაცხადა, რომ ლენინგრადში რაზმის ყოფნის დღეებში ნაპირზე ჩამოვა ყოველდღიურად 800-1.200 ინგლისელი ოფიცერი და მატროსი. რაც შეეხება იმას, რომ ინგლისის ხომალდები დაათვალიერონ ქალაქის შრომელებმა, მათ მივიღებთ შეუზღუდველად. ამ ვიზიტის შედეგად, თქვა ადმირალმა დენმ, ინგლისელ მატროსებსა და ლენინგრადელებს შესაძლებლობა ექნებათ უფრო ახლოს გაეცნონ ერთმანეთს.

დღეს ადმირალმა დენმ ვიზიტი გაუკეთა სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაურს ადმირალ ი. ი. ბაიკოვს, ლენინგრადის გარნიზონის უფროსს არმიის გენერალ მ. ვ. ზახაროვს, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ე. გ. სტრჟალკოვსკის.

დღის განმავლობაში ინგლისელ მეზღვაურთა რამდენიმე ჯგუფი იყო ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის დარბაზებში. ინგლისელმა მატროსებმა ინტერესით დაათვალიერეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიის ექსპოზიცია, თანამედროვე საბჭოთა ხომალდების მოდელები, დაათვალიერეს სტენდები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სამხედრო მეზღვაურების გმირობას დიდი სამამული ომის წლებში. მუზეუმის მთელი რიგი ექსპონატები აღბეჭდავენ მოგონებებს რუს და ინგლისელ მეზღვაურთა მეგობრობის შესახებ.

ბრიტანეთის ავიოსან „ტრიუმფის“ ქვემეჩიბმა დღეს რამდენჯერმე გაისროლეს სალუტის ზალპები. ავიოსანზე ადმირალ მაიკლ დენისადმი საპასუხო ვიზიტებით იყვნენ დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ უ. ჰეიტერი, სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაური ადმირალი ი. ი. ბაიკოვი, ლენინგრადის გარნიზონის უფროსი არმიის გენერალი მ. ვ. ზახაროვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ე. გ. სტრჟალკოვსკი.

ადმირალმა ი. ი. ბაიკოვმა დღეს „ასტორიაში“ საუზმე გამართა მეტროპოლიის ფლოტის სარდლის ადმირალ მაიკლ დენის პატივსაცემად. ბრიტანეთის ადმირალმა და მი'ჰმა მეუღლემ „ბრიუმფზე“ გამართეს სადილი ინგლისის ელჩისა და საბჭოთა ადმირალების პატივსაცემად.

ბრიტანელ მეზღვაურებს ნახავდით ერმიტაჟის დარბაზებში, მატროსთა კლუბში, კინოთეატრებში. ყველგან ლენინგრადელები მიესალმებოდნენ სტუმრებს, ესაუბრებოდნენ თავიანთი ქალაქის შესახებ. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ინგლისელმა მეზღვაურმა ფეხბურთელებმა მოაწყეს პირველი წვრთნა, ემზადებოდნენ ხვალინდელი შეჯვედრისათვის საბჭოთა მეზღვაურების გუნდთან.

საღამოს ქალაქის პარკში პირველი კონცერტი გამართა მეფის საზღვაო ქვეითი ჯარის დიდმა ორკესტრმა. ბრიტანელი მემუსიკეების კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადელებში.

საბჭოთა სამხედრო ხომალდების რაზმი ინგლისში

პორტსმუთი, 13 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საბჭოთა სამხედრო ხომალდების ესკადრის მეგობრობის ვიზიტი ინგლისში დიდ ინტერესს იწვევს ინგლისელ ხალხში. ადრე დილადანვე ხომალდებთან ნავებით მიდიან ადგილობრივი მცხოვრებნი. ისინი მეგობრულად მიესალმებიან საბჭოთა მეზღვაურებს. ისმის მისალმების სიტყვები რუსულ და ინგლისურ ენებზე.

მეზღვაურებს დღეს დაძაბული დღე აქვთ. ფეხბურთელები ემზადებიან ამხანაგური შეხვედრისათვის ინგლისელ მეზღვაურებთან. მხატვრული თვითმოქმედების მონაწილენი ემზადებიან კონცერტისათვის, რომელსაც დღეს საღამოს გამართავენ მატროსთა კლუბში. მეზღვაურთა დიდი ჯგუფები ათვალიერებენ პორტსმუთს. 300-ზე მეტი მატროსი და ოფიცერი დილიდანვე გაემგზავრა ავტობუსებით ლონდონში, რათა გაეცნონ ინგლისის დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს. გზაში მათ მეგობრულად მიესალმებოდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი. თავის მხრივ საბჭოთა მეზღვაურები ავტობუსების ფანჯრებიდან თავაზიან სალამს უძღვნიან მათ.

ესკადრის სარდალი ადმირალი ა. გ. გოლოვკო უფროს ოფიცერთა დიდი ჯგუფის თანხლებით ლონდონში ჩავიდა, იყო ჰაიგეიტის სასაფლაოზე, სადაც გვირგვინით შეამკო კარლ მარქსის საფლავი.

ინგლისის საზღვაო მინისტრმა ტომასმა და საზღვაო შტაბის უფროსმა მაუნტბეტენმა ადმირალ ა. გ. გოლოვკოსა და ხომალდების მეთაურების პატივსაცემად გამართეს სადილი, რომელზეც იყვნენ საზღვაო სამინისტროს უფროსი ოფიცრები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 14 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). 12 ოქტომბერს საღამოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია პლზენიდან ჩავიდა კარლოვი ვარში, სადაც მას შეხვდნენ ოლქისა და ქალაქის პარტიული და საბჭოსმფუფო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

გუშინ დილიდან დელეგაციის წევრები გაეცნენ ჯანმრთელობის ამ განთქმული კერის ღირსშესანიშნაობებს.

სტუმრები იყვნენ მთელ რიგ სამკურნალო დაწესებულებებში, მინერალურ წყაროებთან, ესაუბრნენ დამსვენებლებს.

შემდეგ დელეგაციის წევრები იყვნენ ფაიფურისა და ბროლის ქარხნებში, სადაც გაეცნენ წარმოების ტექნოლოგიას და ჩეხოსლოვაკიის მეწარმეთა საუცხოო ოსტატობას.

ნაშუადღევს დელეგაცია ეწვია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს — „მჩეცს“ (პრაღის ოლქი), სადაც მას გულთბილად შეხვდნენ კოოპერატივის წევრები და სოფლის მცხოვრებნი.

კოოპერატივის თავმჯდომარემ დელეგაციის წევრებს გააცნო კოოპერატორთა ცხოვრება და მუშაობა.

ფერმების დათვალიერების დამთავრების შემდეგ დელეგაციის წევრები მეგობრულად ესაუბრნენ კლუბში კოოპერატივის წევრებს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს სესია

გუდლაპეშტი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ განაგრძობდა მუშაობას პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 28-ე სესია. საანგარიშო მოხსენება შრომელ ქალთა მსოფლიო კონფერენციის ორგანიზაციული მომზადების შესახებ, რომელსაც იწვევენ მშრომელ ქალთა პროფკავშირული უფლებების დაცვისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ინტერესებისათვის, გააკეთა ლ. გრასმ. მან განაცხადა, რომ მოსამზადებელი კომიტეტის უკანასკნელ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება კონფერენცია მოიწვიონ 1956 წლის 14 ივნისის შემდეგ.

კამათის შემდეგ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა ბიურომ დაამტკიცა წარდგენილი საანგარიშო მოხსენება. სესიის დღის წესრიგის პირველ პუნქტზე „ანგარიში საერთაშორისო მდგომარეობის და მშვიდობისათვის, უკეთესი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის პროფკავშირთა ერთიანობის განვითარების შესახებ“ გამოვიდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის გენერალური მდივანი ლეი საიანი. შეეხო რა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის მნიშვნელობას, ლ. საიანმა განაცხადა, რომ შეცვლილ საერთაშორისო ვითარებაში არის იმის შესაძლებლობა, რომ განმტკიცდეს საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობა, განმტკიცდეს და განვითარდეს კავშირურთიერთობა პროფკავშირებს შორის.

კამათში ამ საკითხზე გამოვიდნენ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ვიცე-თავმჯდომარეები — საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის გენერალური მდივანი ა. ლეკეპაი და საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. სოლოვიოვი.

გუდლაპეშტი, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს მუშაობას განაგრძობდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი ბიუროს 28-ე სესია. აზრთა გაცხოველებული გაზიარება მოხდა დღის წესრიგის პირველ პუნქტზე: „ანგარიში საერთაშორისო მდგომარეობის და მშვიდობისათვის, უკეთესი ცხოვრებისა და თავისუფლებისათვის პროფკავშირთა ბრძოლაში ერთიანობის განვითარების შესახებ“. ყველამ, ვინც კამათში გამოვიდა, არაანორმალურად ცნო ის ფაქტი, რომ საერთაშორისო პროფკავშირული ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელები დღემდე არ შეხვედრიან ერთმანეთს და არ განუხილავთ ერთად საკითხები, რომლებიც აღელვებს მშრომელთა ფართო ფენებს. ასეთი შეხვედრის საჭიროება ხაზგასმით აღნიშნეს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის, ლათინური ამერიკის ქვეყნების, აფრიკის, აზიისა და სხვა ქვეყნების პროფკავშირთა წარმომადგენლებმა.

აღმასრულებელმა ბიურომ დასაბა ლონსდიგანი, რომ მოქმედების ერთიანობის ინტერესებისათვის ურთიერთობა დამყარდეს იმ პროფკავშირულ ორგანიზაციებთან, რომლებიც არ შედიან პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში.

უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს წინადადებით აღმასრულებელმა ბიურომ განიხილა იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოსთან მეგობრული ძმური ურთიერთობის დამყარების საკითხი.

დასასრულ სესიაზე მიღებულ იქნა: დეკლარაცია ერთიანობის საკითხებზე; რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში; ზოგადი რეზოლუცია პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შემდგომი საქმიანობის შესახებ და სხვა დოკუმენტები.

ბირმას საჩუქრად გადაეცა იუგოსლავიის იარაღი

ბელგრადი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ტანიუგის კორესპონდენტი რანგუნიდან იუწყება, გუშინ იუგოსლავიის ელჩმა ბირმაში კრისტო ბულაიჩმა ბირმის თავდაცვის მინისტრს უ ბა სვეს გადასცა იარაღი ბირმის არმიის ერთი ბრიგადისთვის. ეს იარაღი არის იუგოსლავიის პრეზიდენტის ტიტოს საჩუქარი ბირმის მთავრობისადმი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია

ვენა, 12 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს ვენაში გაიხსნა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია.

სესიაზე განიხილავენ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობასა და საშუალებებს, რომლებიც მშვიდობისათვის მსოფლიო მოძრაობამ უნდა გამოიყენოს, რათა განამტკიცოს „ჟენევის სულისკვეთება“ და ხელი შეუწყოს ოთხი დიდი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი თათბირის მუშაობას.

ვენაში ჩამოსულ ინგლისელ მეზღვაურთა რამდენიმე ჯგუფი იყო ცენტრალური სამხედრო-საზღვაო მუზეუმის დარბაზებში. ინგლისელმა მატროსებმა ინტერესით დაათვალიერეს რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიის ექსპოზიცია, თანამედროვე საბჭოთა ხომალდების მოდელები, დაათვალიერეს სტენდები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა სამხედრო მეზღვაურების გმირობას დიდი სამამული ომის წლებში. მუზეუმის მთელი რიგი ექსპონატები აღბეჭდავენ მოგონებებს რუს და ინგლისელ მეზღვაურთა მეგობრობის შესახებ.

ბრიტანეთის ავიოსან „ტრიუმფის“ ქვემეჩიბმა დღეს რამდენჯერმე გაისროლეს სალუტის ზალპები. ავიოსანზე ადმირალ მაიკლ დენისადმი საპასუხო ვიზიტებით იყვნენ დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში სერ უ. ჰეიტერი, სამხედრო-საზღვაო ბაზის მეთაური ადმირალი ი. ი. ბაიკოვი, ლენინგრადის გარნიზონის უფროსი არმიის გენერალი მ. ვ. ზახაროვი, ლენინგრადის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ე. გ. სტრჟალკოვსკი.

ადმირალმა ი. ი. ბაიკოვმა დღეს „ასტორიაში“ საუზმე გამართა მეტროპოლიის ფლოტის სარდლის ადმირალ მაიკლ დენის პატივსაცემად. ბრიტანეთის ადმირალმა და მი'ჰმა მეუღლემ „ბრიუმფზე“ გამართეს სადილი ინგლისის ელჩისა და საბჭოთა ადმირალების პატივსაცემად.

ბრიტანელ მეზღვაურებს ნახავდით ერმიტაჟის დარბაზებში, მატროსთა კლუბში, კინოთეატრებში. ყველგან ლენინგრადელები მიესალმებოდნენ სტუმრებს, ესაუბრებოდნენ თავიანთი ქალაქის შესახებ. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ინგლისელმა მეზღვაურმა ფეხბურთელებმა მოაწყეს პირველი წვრთნა, ემზადებოდნენ ხვალინდელი შეჯვედრისათვის საბჭოთა მეზღვაურების გუნდთან.

საღამოს ქალაქის პარკში პირველი კონცერტი გამართა მეფის საზღვაო ქვეითი ჯარის დიდმა ორკესტრმა. ბრიტანელი მემუსიკეების კონცერტმა დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადელებში.

საბჭოთა-ინდოეთის ურთიერთობა

ბომბეი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ინდოეთის ეროვნული კონგრესის ბომბეის ბიურომ ერთხმად მიიღო რეზოლუცია, ინდოეთ-საბჭოთა ურთიერთობის ამაღლებულ დონეზე ასაყვანად.

ბულგარეთ-ინდოეთ-ინდონეზიის ეკონომიკური ურთიერთობა

ბელგრადი, 13 ოქტომბერი. (საკდესი). ბულგარეთ-ინდოეთ-ინდონეზიის ეკონომიკური ურთიერთობის ფართოდ განვითარებისა და ინდოეთ-ინდონეზიის ეროვნული ეკონომიკის ინტენსიურ ზრდასთან დაკავშირებით,